

572  
1957

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ  
ՅԱՆՎՈՐՈՅՑՅՈՒՆ



ԳՐԱԳՆԱԿ

«Գրական» թիվը մարտի  
ամսին, արդեն հանդիս  
էր իր քննարկող հրատարակ  
հանձնարարականը»

№ 8

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԵՎ ԱՆՏՀԱՏԱՆԻ ԱՐԽԱՆՈՒԹՅԱՆ  
ԶԵՆՈՒՄ ԲԱՅՈՒՄՈՒԹՅԱՆ ԵՐԿՐ

ՅԱՆՎՈՐ  
1957



გიორგი მუხარინი

ნახატები ქ. მახარაძისა

# ციხიბერი კაკა

გორაკზე, მთელ ირკუტსკს რომ გადაჰყურებს, ამართულია თუჯის დიდი ქანდაკება.

ღვევით ვაჟაკს ხელში უჭირავს გაშლილი. დროშა, მხარში კი უდგას იარაღმომარჯვებული ორი პარტიზანი. მათ უქან კულტურისა და დასვენების პარკის ხეივნები შრიალებენ.

ნეტავ ვინ არის ეს ვაჟაკი? ახლოს მიველ და ამოვიკითხე:

„წითელი პარტიზანების მეთაური

ნესტორ ალექსანდრის-ძე ქალანდარაშვილი“.

და გავიგე საარაკო ამბები ამ ძველ რევოლუციონერზე, რომელიც საქართველოდან ციმბირში გადაასახლეს და რომელმაც თავი შესწირა ხალხის განთავისუფლების საქმეს.

## ციხიდან გაქცევა

**ც**იმბირში ყველაზე საშინელ აღ- გილად „ალექსანდროვის ცენტრალი“ ითვლებოდა. ასე ერქვა იმ ციხეს, სადაც მეფის ქანდარმებს დამ- წვედელი ჰყავდათ რევოლუციონერები და ყარაულები ღღეღაღამ გარს უვლი- დნენ მას.

ერთ დღეს ციხის უფროსმა ზედამ-

ხედველები დაიბარა და გააფრთხილა:

— ჩვენთან საშიში რევოლუციონე- რი ნესტორ კალანდარაშვილი მოიყუა- ნეს. იცოდეთ, თვალი არ მოაშორათ! მეფის დაუძინებელი მტერია, გურისა და ფოთის აჯანყების მონაწილეა. მისი თავი დიდ თანხად იყო შეფასებული. ახლა იგი სამუდამოდ აქ დარჩება.



ნესტორ კალანდარაშვილი ვიწრო  
საქანში მოათავსეს. პატიმარი ბრგე, მო-  
სული კაცი იყო. ციხეში წვერს აბა ვინ  
გააპარსენებდა და კუბრივით შავი თმა-  
წვერი მკერდზე და მხრებზე ფეხინებო-  
და.

გავიდა ხანი. ზამთარია. ციმიბირის  
ყინვები მძვინვარებს. ციხის ეზოში თო-  
ფიანი გუშავი წინ და უკან დადის. აი,  
სადღაც გაისმა მგლის ყმუილი. აგერ,  
მეორეც აჰყუა. აქ რა უნდა მგლებს?

მგლის ყმუილი ნესტორის საკანშიც  
შეიქრა. რამდენიმე დღის წინ მეგობ-  
რებმა ჩუმად შეატყობინეს: როგორც  
კი მგლის ყმუილს გაიგონებ, გასაქცევად  
ყველაფერი მზად იქნებაო.

პატიმარმა თვალი მიადო კარის ქუქ-  
რუტანას, — დერფთანში არავენ ჩანდა.  
მერე სარკმელს მივარდა და ყმუილითვე  
ანიშნა, მზად ვარო. გაოცებულმა გუშავ-  
მა სარკმლისაყენ იბრუნა პირი თუ  
არა, ორი კაცი თავს დაესხა და გუშა-  
ვიც ხმისამოუღებლოდ დაეცა; მაშინ  
პატიმარმა ზეწარი დახია და გადანასკვა.  
აღრვევ გადახერხილი რკინა გადმოიღუნა,  
შემდეგ სარკმელში გადაძვრა, „თოკი“  
რკინებს გამოაბა, ჩაცოცდა ძირს, ჩახტა  
ეზოში და თავს უშველა.

ციხეში ერთი აურზაური შეიქნა.  
შეშინდნენ მეფის მოხელეები და ირკუტ-  
სკის ახლომახლო სოფლებში გამაღე-  
ბით დაუწყეს ძებნა. აბა, ვინ იფიქრებ-  
და, რომ გაქცეული პატიმარი ქალაქში  
დარჩებოდა და უშიშრად ივლიდა მთა-  
ვარ ქუჩებში.

5969



### პატიმარი თუ კოლკოვნიკი?

**დ**ღედაღამ მუშაობდა ნესტორი რე-  
ვოლუციონერებთან ერთად; მათი  
ფარული სტამბაც გამუდმებით  
ბეჭდავდა საბრძოლო მოწოდებებს.  
ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორი

სიბრაზით ცოფებსა ჰყრიდა:—როგორ.  
ციხეები სავსეა რევოლუციონერებით და  
ისინი მაინც არ ცხრებიან. თუ ასეა, ახალ  
ციხეებს ავაგებთო.  
ნესტორ კალანდარაშვილის ჯგუფმა





გადაწყვიტა, გუბერნატორ სელივანოვისათვის ბოლო მოეღო. მაგრამ ჯგუფში აღმოჩნდა მოღალატე. მან გასცა მთელი ჯგუფი და ნესტორი კვლავ დააპატიმრეს.

დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. მეფის ხელისუფლება ახალ-ახალ ჯარებს აგზავნიდა ფრონტზე.

ერთ დღეს კალანდარაშვილი ციხის უფროსის კაბინეტში გამოიძახეს. იქ მეფის ოფიცრები შეეგებნენ.

— თქვენ კალანდარაშვილი ხართ?

თქვენი ვაჟაკობის ამბავი ყველამ იცის. — ცბიერად გაუღიმა ოფიცრმა, — აუსუსია, რომ თქვენისთანა ნიჭიერი კაცი ტყუილად ილუპავს თავს და მეფის წინააღმდეგ იბრძვის. ჩვენ თქვენთვის კარგი გვინდა. ახლავე პოლკოვნიკის ჩინს განიჭებთ, წადით ფრონტზე მეფის დასაცავად!

— თქვენი იყოს თქვენი ომიცა და თქვენი ჩინებიც, — მკვახედ მიუღო მათ პატიმარმა. ის კვლავ საკანში დააბრუნეს.

## ტყვეები

**რ**ოდესაც ოქტომბრის რევოლუციამ გაიმარჯვა, კალანდარაშვილს დივიზია ჩააბარეს რევოლუციის მტრებთან საბრძოლველად. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას ძალზე ბევრი მტერი ჰყავდა. თეთრგვარდიელი ოფიცრები მეფის ხელისუფლების აღსადგენად იბრძოდნენ.

კალანდარაშვილის დივიზია დაბამონდის ახლოს იყო დაბანაკებული. თვითონ

მონღში თეთრგვარდიელები იდგნენ, რომელთაც მისი შეპყრობა ვეღლებოდათ. ნესტორმა შემთხვევით ხელთ იგდო თეთრგვარდიელთა ტყვეფონის ხაზი.

— კალანდარაშვილი დაიჭირეთ? — შეეკითხნენ დაბიდან.

— დიას, დიას, დავიჭირეთ, — უპასუხა ნესტორმა, — ახლავე მოგიყვანთ შტაბში. მისმა რაზმმა ალყა შემოარტყა დაბას, თვითონ კი ოფიცრის ფორმა გადაიცვა



და თეთრგვარდიელთა შტაბში შევიდა. თავით ფეხამდე შეიარაღებული ოფიცრები მოუთმენლად ელოდნენ, როდის მოიყვანენ ტყვე პარტიზანსო.

— კალანდარაშვილი სად არის? — შესძახეს აქეთ-იქიდან.

— აგერ გახლავართ, — მშვიდად მიუგო კალანდარაშვილმა და რევოლვერი იძრო, — არ გაინძრეთ, თქვენ ვარშემორტყმული ხართ!

ნესტორმა ტყვეები წამოიყვანა და გზა განაგრძო.

ბევრჯერ სცადეს თეთრმა გენერლებმა კალანდარაშვილის დაჭერა, მაგრამ ხალხსა და მებრძოლებს იგი ისე უყვარ-

დათ, რომ გენერლები ვერაფერს გაბდნენ.

ერთხელ კალანდარაშვილის რაზმმა ულრანი ტაიგა გაიარა და დასასვენებლად დაბანაკდა. ყველას ეძინა. ფხიზლობდა მხოლოდ გუშაგი — უნგრელი პარტიზანი. მას თეთრგვარდიელები მიეპარნენ, სტაცეს ხელი და უთხრეს: არ მოგკლავთ, თუ გეტყვი, მეთაურს სად სძინავსო. მაგრამ პარტიზანმა არ უღალატა თავის ამხანაგებს.

— თავს უშველეთ! — შეჰყვირა მან და მთელი ბანაკი ფეხზე დააყენა.

ერთგული გუშაგი თეთრგვარდიელებმა იქვე მოჰკლეს.

## ახალგაზრდა „კაკა“

**6** ესტორ კალანდარაშვილისა და მისი რაზმის გმირობის ამბავი მთელ ციმბირში იყო გავარდნილი. ხალხზე ზრუნვისა და თავდადებისათვის მას „ციმბირელი პაპა“ შეარქვეს; ამასთან წვერიც მოხუცივით ჰქონდა მოშვებული. ბევრს ის სახით არ ენახა და ეგონათ, მართლაც მოხუცი კაციაო. ერთხელ მათ რაზმში გლეხი მივიდა და იკითხა:

— პაპას ნახვა შეიძლება?

— რა გინდა, ძია, კალანდარაშვილი მე ვარ, — უპასუხა იქვე მყოფმა ნესტორმა.

— რას მატყუებ? — ეწყინა გლეხს, — კალანდარაშვილი მოხუცი კაცია, მაშ, პაპას რად ეძახიან!

პარტიზანებმა ძლივს დაარწმუნეს გლეხი, რომ მის წინ მართლაც ციმბირელი პაპა ილდა.



**ი**აბონელმა ინტერვენტებმა ქალაქ ჩიტას ახლოს, გონგოტასთან წითელი არმიის ფრონტი გაარღვიეს; ეს იყო განსაცდელის დრო მთელი ციმბირისათვის. მაგრამ კალანდარაშვილის არმია მებრძოდ დახვდა მტერს. მტერმა ნახა, რომ საქმე კუდად იყო, და საჩქაროდ ჯავშნოსნებს კვამოუძახა. მდინარის გაღმა ჯავშნოსნები რომ გამოჩნდნენ, კალანდარაშვილმა ბრძანა, ხიდი აეფეთქებინათ.

ვინ იკისრებდა ამ სახიფათო საქმეს? გარშემო ტყეები ზუზუნებდნენ.

კალანდარაშვილთან გამოცხადდა პარტიზანი კურა-მაგომი, — მას სამი პატარა ბიჭი ახლდა. მათში ყველაზე უფროსი თორმეტი წლისა თუ იქნებოდა.

— ჩვენ წავალთ! — თქვეს მათ.

ბიჭები ჩუმად მიცოცდნენ ხიდან, ცეცხლი წაუკიდეს ზონარს, რომელიც ხიდქვეშ დამალულ ასაფეთქებელ წამალთან იყო შეერთებული, და მერე წყალში გადახვნენ. პარტიზანები ამ პატარა გმირებს ქვემოთ დაუხედნენ და წყლიდან ამოიყვანეს.

უცერად გაისმა საშინელი გრგინვის ხმა. ცეცხლწყვილებული ხიდი წყალში ჩაინგრა. ჯავშნოსნები უკან გაბრუნდნენ. ამ ბრძოლის შემდეგ კალანდარაშვილის სამხედრო ნაწილს „კალანდარაშვილის სახელობის გონგოტას ცხენოსანი დივიზია“ დაერქვა და თვითონ კალანდარაშვილი წითელი ღროშის ორდენით დააჯილდოვეს.

## შპანასკნელი ბრძოლა

**ს**ადაც კი მტერი წამოჰყოფდა თავს, კალანდარაშვილის პარტიზანული არმია მყისვე იქ გაჩნდებოდა.

აი, იაკუტიაში იფეთქა თეთრგვარდიელთა აჯანყებამ. იაკუტის საშპოთა რესპუბლიკამ საშველად კალანდარაშვილის პარტიზანული რაზმი გამოიწვია. რაზმმა ათასი კილომეტრი ელვის სისწრაფით გაიარა და მტერს უკან დაედევნა.

მაგრამ ეს კალანდარაშვილის უკანასკნელი ბრძოლა იყო. ერთ დღეს მისი რაზმი ქალაქ იაკუტსკის ახლოს ვიწრო ხეობაში მიდიოდა. იქ ჩასაფრებული იყვნენ თეთრგვარდიელები. შეიქნა უთანასწორო ბრძოლა: მტერი სკარბოდა, ერთზე ათი მოდიოდა... ამ ბრძოლაში დაიღუპა ნესტორ კალანდარაშვილი.

ტაიგაში ხმა გავარდა: „პაპა მოგვი-

კლესო“. დანარჩენი მებრძოლები იმ ადგილისაკენ გაემართნენ; ტყეებით განგმირული მეთაური მარხილში ნახეს. მაშინ ძველმა პარტიზანებმაც აისხეს იარაღი და თეთრგვარდიელები გაანადგურეს.

კალანდარაშვილი ქალაქ იაკუტსკში დაკრძალეს. მაგრამ ირკუტსკის მოსახლეობამ მოითხოვა, რომ დედაქალაქში გადასვენებინათ. მის დაკრძალვას დიდძალი ხალხი დაესწრო ახლომახლო რაიონებიდანაც.

ქალაქ ირკუტსკში ერთ მთავარ ქუჩას ახლა ქართველი პარტიზანის კალანდარაშვილის სახელი ჰქვია.

ბევრი საარაკო ამბავი დიდის ციმბირში ნესტორ კალანდარაშვილზე, იმ კაცზე, ვისი ძველიც ამაყად გადაჰყურებს ქალაქ ირკუტსკს.






ოჰ, რამდენი ხანია იგდის გადასხველვითან... წვიმიზაგან მარინე გაიწუნა, დასველდა. თუმცა ჩქარობს გოგონა, ქუჩას ვერ გადაიბრუნეს, ალბათ ახსოვს მარინეს, ხახლში რაც დაარევს: „თუ წითელი შუქი ჩანს ქუჩის გზაკვარდინზე— ფრთხილად იყავ, მარინე, ავტომობილს ვერიდე. ხოლო, როცა წითელი შეიცვლება მწვანითა, მხოლოდ მაშინ გადადი, არ შეჩერდე წამითაც“.

—ეს ფარი კი ხეულ იხევ წითელ ნიშანს აჩვენებს... შიდა, რა ვქნა, წვიმამში აქ ხანამდე გაგვჩერდე?— ეხა თქვა და გოგონამ წახვლა რომ დააპირა, თვალი მოჰკრა ცუცვრიახ იქვე, ქუჩის ნაპირას. დაიხ, წესი-წესია... არ დაარღვევს ცუცვრიახ... ცოტას კიდევ მოციფდის, თუ აქამდე უცდია. მარინე კი ხად მიდის, ნუთუ ნიშანს ვერ ზედავს? და ცუცვრია გოგონას მიუცვოცდა ფეხებთან: —რა ვუყოთ, რომ ასალი კაბა დაგიხველდებო, აქ შენც უნდა გაიჩრდე, თუკი ხალხი ჩერდებო.

კიბეებზე მარინე დიდეს პირველად ავიდა, მერე ჩამოხრიალდა, იხევ აწყვა თავიდან, ახლა ხავეჭურები დაბოთვალა ათამდე. —უჰ, რამდენი ყოფილა, ძლივმელოციოთ დავთვალე!— დაბლა გადმოიხედა, ეზო ვედარ უცვრია, რა პატარა ყოფილა კატა და ცუცვრიაც. იქნებ ვნახო მამილოც, — გაიფიქრა მარინემ. — უფრო მაღლა ავიწევ, ამ კიბეებს ავირბენ. მამილოც ზომ ქუჩებში ახვალტს ტკეპნის მანქანით, დაბლიდან რომ არ ჩანდა, ალბათ ხადმე აქ არის. ნეტავ თუითონ მამილოც ამომხედოს დაბლიდან, თეთრი კაბა მაგვია, მიწნობს უფრო ადვილად. მაგრამ მამამ კი არა, დედამ ამოიხედა, მარინეზე ბრახდებო, ახვ დრო რომ იხვლთა. —რათა ბრახობ, დედიკო, მე ზომ უკვე დიდი ვარ!— და მარინე აწყად ჩამოვიდა კიბიდან.



ნახატი ბ. კოინივილისა

# მავარი ატბა

თუმცა ებოში მტერი არ ჩანდა, ხუთ ფრიზერ ყმაწვილს მანაც აესხათ აბჯარი; გურამს მუშტები თვალებთან მიეტანა, აქაო და მტერს ღურბინდით გავეტყერიო. ბაბა, ზურაბი და დათო კი ბუჩქებში ჩასაფრებულყვნენ.

— წინ!— გაისმა ბრძანება და ხის ხმლებით ხის კუნძის ეკვეთნენ: ჩახ-ჩუხ, ჩახ-ჩახ! დათო მარტო ხმალს არ სჯერდებოდა, ჯობთოფასაც ისროდა და თან ქამარზე ჩამოკიდებულ კონსერვის ქილას ურტყამდა.

მაგრამ უცებ, მტრის ნაცვლად, ძირს დახრილმა ბაბამ იტაცა თავზე ხელი.

— ვაი-ვაი! — შეპყვირა და დათოს შეუტია:

— რას სჩადიხარ, განა ჩემი თავი ქილაა?!

— ქილაა... თუკი ვერ ვხედავ... არც კონდახი ხედავს, ურტყამს, რაც წინ დახვდება,— წააწყუო დათომ სიტყვები.

— რას აგვეკიდე, რას?!— მისცვივდა ყველა დათოს. გაგდებაც დაუბირეს, მაგრამ დათომ ფეხიც არ მოიცვალა, და მართალი უნდა ითქვას, კონდახი მეტად აღარავის მოხვედრია.

ბიჭებმა თქვეს: მტერი შემოგვეპარაო, და კვლავ დაიწყეს დაბეჭვა.

- ვეძიოთ კვლი!
- რა კვლი?!
- სამ-რგოლ-ურჩხულიანი!

დაზომეს კვლი სიგრძე-სიგანით, გაზომეს კვადზე დაჩენილი რგოლებიც, გურამმა

დაცნობა კიდევ და თქვა: უცხო სუნი უღიო.

— უჰ!— შეშფოდნენ ყველანი და კვალს მიჰყვნენ. დათომ მეტი სიფრთხილისათვის ცად ფეხზე ფეხსაცმელი წაიძრა და ქამარში ამოირქო. მიცოცადნენ და უტბად... შეწყდა კვადი.

— აჰ არის!

— ჩასაფრებულა!— აჩურჩულდნენ ბიჭები და მზარ-თეძოზე წამოწოდირ ვეება ქვევრს ზურგიდან მოუარეს, ყურიც მიუგდეს.

— სუნთქავს!

— რალაცას ღრღნის!

ვნახოთ, რალაც გაინძრა ქვევრში. ვილაც მოხზნავს... მოხზნავს... და... მოადგა ქვევრის ხახას,— შეავტურქა და ბრტყელურა. პირში ძვადი აქვს გაჩრილი.





— ყურშა!—შესძახეს გახარებულმა ბიჭებმა. ყურშასაც გაუხარდა; დააგდო ღუჭმა და ისკუბა.

— ჰამ, ჰამ!—შეჰყეფა.

ბიჭებმა ხის ხმლებზე კბილი ჩააგდებინეს, დათომ ფენსაკმედიც მიართვა: აჰა,



გასინჯეო!—და მეტი აღტაცებისაგან ქიღას კონდახი ისე დასცხო, რომ გვერდი ჩაუძვლიდა.

მაგრამ განა მზვერაობა ყურშას პოვნით დასრულდა? სწორედ ყურშამ განაგრძო. უცებ განზე გახტა და წვრილ ბიდიკს დაუწყო ღოკვა. ბიჭებიც გახტნენ განზე, დააკვირდნენ მიწას და შეჰჰყვირეს:

— კვადი!

— რა კვადი?!

— წვეტიანი!

დაზომეს კვადი სიგრძე-სიგანით, გურამმა დასუნა კიდეც და განაცხადა: ქინძ-ძმარის სუნი უღისო.

— აჰ!—შეშოდა ყველა და უცხო კვალს მიჰყვნენ. დათომ მეტი სიფრთხილისათვის შარვლის ტოტი აიკეცა. მარბის ყურშა, მისდევნენ ბიჭები. შედგა ყურშა. შედგნენ ბიჭებიც. ყური მიუგდეს. ვნახოთ, ლობის გადაღმა სიმინეები აშრიადღა: შრ-შრ-შრ!—მოღის რალაც, მოშრიადღებს... მოადგა ლობის გამომსახველს.

— ხელები ზევით!—შეჰყვირეს ბიჭებმა ხმლების ჩახაჩუხით.

— რ-რ-რ-რახ!—გაისრულა დათომ. დასტვინა კიდეც: ს-ს-ს-ოო, და დავარდა მიწაზე ჯამი, გადმოვარდა წვეტიანი წულაც.

— დიდლა!—შესძახეს ბიჭებმა და ხედები მიაშვედეს, ჯამი მიართვეს. წულაც მიაწოდეს და დიდხანს უხდიდნენ ბოღიშს: გვაპატეო, დიდლა, შენი ჭირიმეო.

კარგა ხანს ისმოდა მიმავალი დიდდას ჩივილი: იქითობას ყურშა მომებანდა ფეხებში, პაპასათვის მისაკითხი ქინძ-ძმარიანი კერი კინალამ დამალვრევინა, აქეთობას ამ ბიჭებმა გადამიტრიაღეს გულგო.

დიდება თვალს მიეფარა. მაგრამ განა დაზვერვა ამით დასრულდა?

— ვეძიოთ, ვეძიოთ!—თქვეს ბიჭებმა და ყურშას მიჰყვნენ. შედგა ყურშა წისქვილთან. ბიჭებიც შედგნენ. განა ახად ელექტრონის წისქვილთან?! ძველ წისქვილთან. გვერდზე წახრიდ, უკარ-უფანჯროსთან. ბიჭებმა ყური მიუგდეს,—შიგ ვილაც არის.

— მგელი!

— დათვი!

— ღომია!—დასაკვნეს ბოლოს და...

— ხელები ზევით!—დასწრო ბიჭებს წისქვილიდან ვილაცამ და რალაცა დაუმიზნა.

— ბუჰ!

ის „ვილაცა“ პაპა გადმოგდა. ის „რალაცა“ კი—პაპას ჩიბუხი! ოჰ, რამდენი იცინა პაპამ,—ჩიბუხით შეგოპყროთო!

მაგრამ ამითაც როდღი დამთავრდა მათი მზვერაობა. დადიან დაზვერვაში და ყოველღეუ ახად მოკეთეს იძენენ.



# დათვის გარდა მზონრული თავგადასავალი

ილუსტრაციები გერმანული გამოცემიდან

## იოზუ მინხელი

მწვანე მთის სამხრეთ ფერ-  
დობზე, მზიან ახოში, ერთი  
დიდი ძირკვის ფესვებშუა  
ეძინა პატარა ბაჭის, ეძინა,  
როგორც იტყვიან ხოლმე,—  
ცალი თვალით. უცებ ბურ-  
ქებში ტოტების შრიალი და  
ცხოველის ფთხინვა მოისმა.  
დათვი!—გაუღვია თავში ბა-  
ჭის და სკუპ! სკუპ! ბურქებს  
შეერია.

მართლაც, ძირკვის თავზე  
დათვის ბელის ყავისფერი  
დრუნჩი და ბალისით სავსე  
ეშმაკური თვალები ამოიშარ-  
თა. ეს გახლდათ მიშა ბურ-  
თაძე, მრგვალი, როგორც ბურ-  
თი.

დღეს მიშას ხანტარო დღე  
გაუთენდა: პირველად დარჩა  
დღეის მეთვალყურეობის გა-  
რეშე და საითაც სურდა, იქით  
წავიდა.

აი, წელად ბალახებში ლა-  
მაზი, მომწვანო-მოწითალი  
სოკო შენიშნა. ეცა და ხარ-  
ბად ჩაკბინა, მაგრამ ელდანა-

კრავი უკანვე გაბტა: სოკომ  
ენა საშინლად აუწვა. მიშას  
სიმწრით ცრემლები გადმოს-  
ცვივდა და პატარა დრუნჩი  
ფართოდ დაალო. ასეც მოუ-  
ხდებოდა, რადგან უსურადლე-  
ბას არ აქცევდა ღედის დარი-  
გებს. დედამისი ბარბარე კი  
შხამიან სოკოს უჩვენებდა და  
აფრთხილებდა ხოლმე, პირი  
არ დაეკარო.

მიშამ კენკრას ბურქები მო-  
ნახა და გემრიელი ნაყოფის  
მთელი მტვენები მოგლიჯა.  
მაგრამ ისე სწრაფად კი არ  
გადახანსლა, როგორც სხვა  
დროს, არამედ ნელ-ნელა ენა-  
ზე დაიქუჩიდა და ასე დაიამა  
საშინელი წვა.

უცებ ბალახებში კვლავ სო-  
კო დინახა, უტუნწო და ისე  
დიდი, როგორც მიშას თავი.  
მაგრამ მიშა უკვე მტრულად  
იყო განწყობილი მთელი ქვეყ-  
ნის სოკოებისადმი. მაშინვე  
მიიჭრა მასთან, მოუჭინა წინა  
თათი და თხლაშ!—დასცხო  
მთელი ძალით. მაგრამ ეს რა  
მოხდა? სოკო საპნის ბუშტი-

ვით გასკდა და შავი ბოლისა  
თუ მტვრის ღრუბელი დააქე-  
ნა. ღრუბელი მაშინვე შემო-  
ეხვია მიშას ტანზე—დაუწყო  
თვალეში კბენა და ცხვირი  
აუწვა. თურმე ეს ჩვეულებ-  
რივი გუდაფუშტა სოკო გახ-  
ლდათ; შავი მტვრის ღრუბე-  
ლი კი ამ სოკოს პაწაწინა  
გამჭვირვალე თესლები იყო.  
დაიხ, მიშას პური კარგად უწ-  
და დაეგლო, რასაც დედამისი  
ასწავლიდა!

შიშშილმა მიშა ძალიან შე-  
აწუხა. იცოდა, სადაც შეიძლე-  
ბოდა გადმომა, მაგრამ დე-  
დას ბევრჯერ გაუფრთხილე-  
ბია, არამც და არამც არ წა-  
ხვიდე ვასილის შვრის უნა-  
შიო.

ვასილი ერთი ღარიბი გლე-  
ხი იყო. მთელ მის ავლადი-  
დებას პატარა სახლი და ტყის  
პირას შვრის პატარა უნა შე-  
დგენდა. ლამაზობით ვარე-  
ული ცხოველები ხშირად მიი-  
პარებოდნენ ხოლმე უნაში.  
ამიტომ ვასილს დიდად არ  
ეპიტნავებოდა კურდღლები,

ირმები, შვლები. ბარბარესაც მართებდა მასთან სიფრთხილედღეს კი მიშამ ახოდან პირდაპირ ვასილის პატარა უანისაკენ გასწია. ფრთხილად მიუახლოვდა უანას, ჩაჯდა იქვე კვალში და გლიჯა და სანსლა გასკდომამდე.

წუ გგონიათ, რომ მიშამ მერე სადმე საიმედო ადგილი მონახა და იქ მშვიდად წამომოვირდა. არა, კვლავ ეშმაკები შეუხსნდნენ თავში და ახლა ვასილის ქოხისაკენ დაიწყო ცნობისმოყვარე თვალების ცეცება. იქიდან ისეთი სიმღერის ხმები იფრქვეოდა, რისი მსგავსიც ჯერ არასოდეს სმენია. „უილეიუოა!“ უიოდა ვილაც. როდესაც მიშამ ლობეზე შემომჯდარი მამლის მშვენიერი კრელი ფრთები, თავზე წითელი სავარცხელი და ფეხებზე დეზები დაინახა, გაიშვირა წინა თათი მამლისაკენ და შესძახა:

— მოდი აქ, მოდი, შემგებო!

აღუფოთებული მშალი უკან გახტა და აკრიახდა:

— ვინ არის მანდ, ვინ არის

მანდ, გასწი ააქედან! გასწი ააქედან!

და როცა მიშამ ისევ წაიწია მისკენ, მამალმა აღარ დაიხია, პირდაპირ დრუნჩხე დაფრინდა და ნისკარტით და ბრქუალებით კორტან დაუწყო. ალბათ, თვალეხსაც ამოუჩინებდა, რომ გაქცევით არ ეშველა თავისათვის.

ცოტა ხნის შემდეგ მიშა ისევ ლობესთან დაბრუნდა. ახლა მამალი ფანჯარაში შეფრინდა და ვასილს უფრში ჩაპყვიდა. ვასილმა მამალს დაუცაცხანა, დასტაცა ხელი ქალამანს და მამალს ესროლა. მამალი გვერდზე გახტა და ქალამანი ლობესთან მდგარ მიშას პირდაპირ თავში მოხვდა. როდესაც მიშამ გაბედა და კვლავ სახილისაკენ გაიხებდა, ვასილს უკვე ჩასძინებოდა. მაგრამ ძილი მაინც არ დასცალდა. ლოგინის ასწვრივ მალა, თახჩაში, ლამაზი, მოხატული თევში იდო; ახლა იქ ახტა უჩაღანა მამალი, გაპკრა ფრთა, თევში გადმოვიარდა და—უახ! ერთადერთი თევში ნაშხხრევებად გაიშალა იატაკზე. ვასილი წამოვიარდა და მამალს ვამოწყადა.

კიდა. ჯერ ოთახში სდია, შემდეგ ეზოში გაპყუა, მაგრამ ვერ დაიჭირა.

ვასილმა ჩაიცვა ტილოს გინიერი შარვალი და ცალი ქალამანი. მეორე ქალამანი ლობესთან უნდა მოენახა, რომელიც წუდან მამალს ესროლა. ჩაიცვა ისიც და გასწია ბაზარში თევუშის საყიდლად.

მამალი და დანარჩენი ცხოველები სწორედ ამ დროს სახლის მეორე მხარეზე იყვნენ.



პოდა, მიშაც პირდაპირ ვასილის ოთახში შეძუნძულდა. საათის გირის გრძელი ჯაპუვი თითქმის იატაკამდე იყო დასული. მიშამ სცადა გირის გაქანება; ჯერ ნელ-ნელა, ხოლო შემდეგ მაგრადა გაქანდა გვერდზე. შემდეგ უკან დაბრუნდა და ბახ!—ისევ მაგრადა მოხვდა თავში, რომ თვალეხიდან ნაპტრწყლები გადმოსცვივდა.

მიშა ახლა ლუმელს მიუბრუნდა. გაახსენდა დედის ნათ-

ქვამი: ლუმელში ადამიანები ხორცს წვავენო. ლუმელი რომ გაალო, შიგ მართლაც რალაც წითელი დაინახა. — აჰა, ეს შემწვარი ხორცი იქნებოა, და მოუთმენლად სტაცა ორივე თათი წითელ გროვას; მაგრამ იმწამსვე აკრუსუნდა, — იქ ხომ ნაკვერცხლები იყო. მიშა ტირილით შეძვრა მაგიდის ქვეშ და დამწვარ თათებს ლოკვა დაუწყო. ახლა სულაც აღარ აინტერესებდა



ამ სახლის ამბები. იგი კოკლობით გამოვიდა გარეთ, და კობილ შეშის გროვას ჩაუბრა, გვერდი, გაქრა და რახ, რახ! — შეშების მთელი გროვა თავზე დაემხო. უცებ სულ ახლოდან მოესმა აშარი მამლის ხმა, მამალთან ერთად დანარჩენი ფრინველებიც მორბოდნენ ჩამოშლილი შეშის ხმაურზე. „გომურში ნამდვილად არავინ იქნება,“ — გაიფიქრა მიშამ და იქით გაეშურა. ვაიმე! ეტყობა გომური სულ ცარიელი არ ყოფილა. მიშა იქ ვიღაცას დაეჯახა და მაშინვე იგრძნო, რომ ორი გრძელი და ბასრი წვეტი მიეზჯინა.

ღია კარიდან შემოქრილ



სინათლეზე მიშამ დაინახა გრძელი, დაგრებილი რქები, დაკრებილი კბილები და გარეჩილი წვერი. დაფეთებული გამოვარდა, ღობეს გადაველო და ტყისაკენ მოჰკურცხლა.

აფსუს, რომ მიშას ერთხელაც არ მოუხედავს. გომურის კარში ეშმაკი კი არა, ჩვეულებრივი თხა იდგა, რომელიც თვითონ უარესად იყო შეშინებული ბანჯგვლიანი ცხოველის მოულოდნელი სტუმრობით.

უკვე შეორე დღე იყო, რაც ბარბარე მიშას დაემეზა. მიშამ წარმოიდგინა, როგორ მოიარა დედამისმა ფერდობები, ველები და ახლები. თითქოს მისი ძახილიც კი ესმოდა.

— მიიიშაა! მიიიშაა! — ჩუ, გაიგონა მართლაც ძახილი.

მიშა მარდალ წაშობდა და გაიქცა. ხმამ იგი ერთ ფერდობზე აიყვანა, ახლად ტანაურილი ფიკვების ტყვრში. იქ მიშას დამცინავი მელია, პირფერი სინდიოფალა, შვლის ნუკრი და ბოლოს ბუზღუნა,

მაგრამ გულკეთილი მაჩვი დაუხვდნენ. როდესაც ახლოს მივიდა, დაინახა, რომ ბარბარე ერთ ღრმა ორმოში იჯდა. ნეტავი არ დაეძახა ბარბარეს მიშასათვის! დათვის ბელმა დაინახა თუ არა დედა. პირდაპირ ტორებში ჩაუგორდა. უცებ მიშამ უსური მოქკა მალდა მელიის ირონიულ ლაპარაკს.

— ჰი-ჰი, რა დღეშია! ახლა თვითონაც ხომ ორმოშია! ვასილს ორივე ჩაუვარდება ხელში!

ახლავა მიხვდა მიშა, თუ რა საშეშ ადგილას იმყოფებოდა. დედის ზურგზე აძვრა, მაგრამ ორმოს პირს მაინც ვერ მისწვდა, ძირს ბრავგანი მოადინა და გვერდები დაიქეფა. მელია დაიხარა სინდიოფალასაკენ და დიდხანს რალაცას უჩურჩულებდა უსრში. შვლის ნუკრი შეუმჩნევლად მიუახლოვდა მათ და მოისმინა, თუ რას ეუბნებოდა მელია სინდიოფალას. შემდეგ შვლის ნუკრმა მაჩვის გადასცა, რაც მათგან გაიგონა, და იმანც





ორმოსი ჩასძახა: „აბა, ბარბარე, კიდევ ერთხელ სცადე ამ მხარეს!- და ერთი ნორჩი მუხა დაანახვა, რომელიც ორმოსს პირას იყო ამოსული. ბარბარე მართლაც მიეუბნო იმ პატარა ხის ძირში ორმოსს კედელს. მიშა კვლავ მხრებზე აუძვრა. ამასობაში მაჩვმა წინა თათები მიაბჯინა ნორჩ მუხას და ხე ისე ვადიახარა, რომ მიშა მის ტოტს მოეზღაუკა. ბურთაძე კიდევ ერთხელ ახტა, მაჩვი და შვლის ნუკრი მოსცილდნენ ხეს და მოკ! — მიშა უკვე მიწაზე იყო.

უკვებ სიმღერის ხმა მოისმა, — ვასილი ბაზრიდან ბრუნდებოდა! მიშა, მაჩვი და დანარჩენი ცხოველები ტყეში მიიმალნენ.

აი, ტყის საცალფეხო ბილიკზე გამოჩნდა ვასილი. უცებ შედგა, სიმღერა შეწყუ-

ვიდა და სიხარულისაგან ხელი ხელს შემოაჭრა:

„ოჰო! რა კეთილი სტუმარი მწვევია! ცოტა მოიცადე, შინიდან ნაჯახს, უროსა და თოკს მოვიტან“, — და ვასილმა შინისაკენ გასწია.

ცუდად იყო ბარბარეს საქმე!

მიშა მივარდა მახლობლად მდგარ ფიჭვს და გაშმაგებით დაუწყო მოთხრა.

მაგრამ ეს ძნელი გამოდგა. ამიტომ მიშამ შვლის ნუკრს სთხოვა:

— მეგობარო, შენ მარდი ფეხები გაქვს, ერთი ტახთან მიირბინე, იქნებ მოგვეხმაროს, ის ჩვენზე უფრო ლონიერია!

შვლის ნუკრი ხეებში გაუჩინარდა. მალე ფეხის ხმა და ხვწმამოისმა, ტყვიდან ტახი გამოვარდა. მის ბასრ ეშვებს აბა, რომელი ფეხვი გაუძლებდა! აი, უკვე დაიწყო ფიჭვა გადახრა, შემდეგ ერთი ბიძგი — და მძიმე ხემ მიწაზე ზღართან მოადინა. ხის ტოტზე მოკიდებული ბარბარე სწრაფად ამოვარდა ხაფანგიდან.

ბარბარემ გადარჩენისათვის მადლობა გადაუხადა მაჩვს, ტახს, შვლის ნუკრს და მიშასთან ერთად ტყისაკენ გაძუნძულდა.

გერმანულიდან თარგმნა  
შ. ამირანაშვილმა.





# და-ძმა

გიგლას ლოგინში კოტრიალებდა და ბურტყუნებდა:

— ეჰ, რა იქნება, რომ ვინმე ჩემს მაგივრად ადგეს და მე საღამომდე ვიძინო!

— მე ავდგები შენს მაგივრად, — უთხრა დამ.

— ოჰ, რა კარგია! — გაუსწრდა გიგლას, — სამაგივროდ, როცა ავდგები, რაც ვინდა, მთხოვე, ვუვლავურს შევინსრულებ! ადგომა და ჩაცმა შესწრება, თორემ...

— ჰოდა, იწყე. აი, მე ჩავიცვამ შენს მაგივრად, ხელ-ჯირს დავიბან, გაკეთილებს დავამზადებ, ცინოში წავაღ... ერთი სიტყვით, ვუვლავურს მოვასწრებ.

— ოღონდ კინოში არა! — წამოიძახა გიგლამ. — კინოში მე თვითონ

წავალ! შენ მხოლოდ გაკეთილები და მზადე.

გიგლამ თავი საბანში ჩაწყო. დიდხანს ეძინა. ბოლოს თვალები გაშალა და ღრიალი შორით; დას სუფურა გაეშალა, წინ მისი შოკოლადის კოლოფი დაუდგა და შექცევოდა.

— დედაა! — დაიძახა გიგლამ. — ჩემს შოკოლადს ჭამს!

— აბა, რა ჩემი ბრალია? — თავი იმართლა დამ, — ამ დილით თვითონ ინატრა, ნეტავ ვინმე ჩემს მაგივრად ავდებოდეო. მეც ავდექი, მის მაგივრად ჩავიცვი, ხელ-ჯირი დავიბანე და მის მაგივრადვე ვჭამ მის წილ შოკოლადს.

— სამართლიანად მოქცეულხარ, — თქვა დედამ და გიგლას მიუბრუნდა:

— ვინც შენს მაგივრად იმართებს, შენს მაგივრადაც ის მიირთმევს.

## ქ უ რ დ ი ბ ა ზ ი ა

### ბიოგრაფიული

ერთხელ სოფლად ზაფხულში მოგვეჩვია ბაკია, მისი ნათესაურები ბოსტანს ახლაც აჩნია. იპარავდა სტაფილოს გამოღმა თუ ვადაღმა, ყველა კვალში კომბოსტო ძირიანად ვადაღორნა. ჩვენი ძალი ბრაზობდა, — ვერ იკერდა ბაკიას,



ყოველ ღამით ქურდობდა ბეწუნაცარა პაწაწა. მერე მახე დავუვით და ერთ ღამეს ვავაბით, სახლში წამოვიყვანეთ დიდი დავიდარაბით... იცით? გამოვასწორეთ მე და ჩემმა მურიაშ, ახლა ჩვენი ბაკია უკვე შინაურია.



ბ. ჭიჭკოვი

ნახატი ბ. ფოცხივილიძისა

## როგორ გადაარჩინა სპილღო პაჭრონი

ინდოელებს მოშინაურებული სპილღები ჰყავთ. ერთხელ ერთმა ინდოელმა ჯღრან ტყეში წაიყვანა სპილღო შეშის მოსატანად. სპილღო წინ მიაბოტებდა, გზას მიიკვლევდა და თან პატრონს ხეების წამოქცევაში ეხმარებოდა; პატრონი კი ამ ხეებს სპილღს ბურგზე ჰკიდებდა.

უცებ სპილღო შეჩერდა, პატრონს გაუჯიუტდა; აქეთ-იქეთ იყურებოდა, თან ყურებს აპარტყუნებდა. მერე ხორთუმი ზევით ასწია და დაიღრიალა. პატრონმა მიიხედ-მოიხედა, მაგრამ საშიში ვერაფერი შეამჩნია, გაუწყრა სპილღს და ყურებზე სახრე გადაუჭირა. სპილღმა კი ხორთუმი მოვრიხა და პატრონის ბურგზე შესმას დამოხდა. კაცმა იფიქრა: მოვაჯდები კისერზე— მაშინ უფრო ჩემს ნებაზე ვატარებო.

ასეც მოიქცა; შეაჯდა კისერზე სპილღს და სახრე ისევ დასცხო. სპილღო მანაც არ უკუდებდა პატრონს, უკან-უკან იწეოდა და ხორთუმს გამეტეხით იქნევდა. ბოლოს გაინაბა და რალაცის მოდღინში ყურები დაცქვიტა.

პატრონმა სახრე მოუღერა, რომ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაერთყა სპილასათვის; ამ დროს ბუჩქებიდან უშვედებელი ვეფხვი გადმოტბა; მივბარა სპილას, უნდოდა ბურგზე შეხტომოდა, თათებით შეშებს ჩამოეყიდა, მაგრამ შეშის გროვა ჩამოიშალა.

ვეფხვმა მეორეჯერ სცადა შეხტომა. სპილა ახლა უკვე შემობრუნდა, ხორთუმი წებზე შემოაქლო მხეცს და ისე ძლიერ მოუჭირა, რომ ვეფხვმა პირი დაალო, ენა გადმოაგდო და თათები უშფოვდ ააფართხადა. სპილამ ზევით აიტაცა ვეფხვი, მერე მიწაზე დაანარცხა; ბოჭებივით სწორი, მძიმე ვეფხვით ზედ შედგა და ნადირიღავეთ გააბრტყედა.

შიშისაგან აცახცახებული პატრონი გონს რომ მოვიდა, თქვა:

— თურმე რა ბრიყვი ვყოფილვარ, სპილას რომ ვცემდი! მან ხომ სოკვიდის გადამარჩინა.

პატრონმა აბგიდან პური ამოიღო და სუდ სპილას შეაკამა.



ბაჩილ ხაშთასი

ი რ ე მ ი

თვალცქერიალა,  
მკვირცხლზე მკვირცხლო,  
მარღო ქარზე მეტად;  
თავზე ხე რომ ამოგსვლია,  
არ გამძიმებს ნეტავ?!




სამი მოგზაური  
გაგრძელება. (იხილეთ „დილა“ №18 6, 7)




ფ უ ტ კ ა რ ი

ხელში ნესტარი ჩამასვი,  
ცრემლი მაღინე ცხარე;  
თაფლი შაქარზე ტკბილი გაქვს,  
კბენა რად იცი მწარე?!







საქართველო  
საბავშვო

ილია სიხარულიძე ნახატი პლ. გიგოლაშვილისა

# ვსად ილოვო


აი, გაისმა ზარის ხმა:

უნდა გაიხლოთ სადილი;  
გველამ მოგვანხეთ სუფრასზე  
სელად ჩვენ-ჩვენი ადგილი.

სუფევლას კარგი მადა გვაქვს,  
მოგუშევიბა ძალიან;  
არ ვლანაზარაკობთ ჭამის დროს,  
ამისთვის ვისლა სცალბა!

მაგიდას წუნარად ვუზივართ,  
თვალეხსაც არსად ვადევნებთ;  
კოფეს სწორად ვიჭერთ, ჩანგალსაც  
არსად ვურით ზურის ნამცვეებს.

ასეთი კარგი სადილი  
როგორ იქნება, არ ვუკამთა;  
ეს ჩვენს მხარეულს ახარებს,  
გვეტყვის: „შუგერვოთ, ვამით!“



საქართველო  
საბავშვო



ნახატები. რ. შუხიანიძისა



დახასრული



ნიმე ბუზაკაშვილი

ნახატები პნ. კანდელაკისა

## ჯადოსნური ნემსი



ზღაპარი

ერთხელ ნაბია კურდღელმა გამოცდილებით განთქმულ მეზობელ ციყვს შესჩივლა: რაიმე ხელობის სწავლა მინდა და ვერ მომიხერხებიაო.

ციყვმა მოუწონა სურვილი და უთხრა:

— მაგაზე ადვილი რა არის? სოფელში წყაროს მახლობლად ერთი მქარგავი გოგონა ცხოვრობს. გამოჩენილ მქარგავთან უსწავლია ქარგვა. ისეთი ბეჯითი მოსწავლე ყოფილა, რომ მასწავლებელს ჯადოსნური ნემსით დაუჯიღოვებია. ამბობენ, მისი ნემსი თავისით ქარგავსო. წადი მასთან და გასწავლის ხელობას.

ნაბიას ქეკუში დაუჯდა ციყვის რჩევა და იმავე დღეს გაემშურა მქარგავ გოგონასაკენ. ბევრი ძებნა არ დასჭირვებია. სოფელში როგორც კი შევიდა, მაშინვე წყაროს მახლობლად ქოლგასავით გაშლილი ცაცხვის ხე დაინახა. ჩეროში პატარა გოგონა იჯდა და თავაულებლად ქარგავდა.



ბუჩქში განაბულმა კურდღელმა უყურა, უყურა ქარგვაში გართულ გოგონას და უტბად სულ სხვა აზრი დაებადა: ქარგვის შესწავლას დიდი შრომა და გარჯა დასჭირდება. ჯადოსნური ნემსი კი თურმე თავისით ქარგავს. მოდი, მოვპარავ ნემსს და მეც მქარგავი ვავხდებიო.

ნაბიამ შორიდან დიდხანს უთვალთვალო. როცა გოგონა დასასვენებლად წავიდა, სწორედ მაშინ გაძვრა ბალახებში და ცაცხეთან მივიდა. ახლომახლო არავინ ჩანდა, ნემსიც გრძელი, ნაცრისფერი ძაფით ოთხად მოკეცილ ტილოში იყო გაბნეული. ნაბიამ დასტაცა ხელი ტილოს და ილღიაში ამოიღო. ის იყო უკან გამობრუნებას აპირებდა, რომ უცნაური ხმა მოესმა,—ეს ნემსი ლაპარაკობდა თურმე:

— რა გინდა ჩემგან, ძმობილო? შენთვის რა გამოსადეგი ვარ, დამტოვე!

ნაბია შეკრთა. ყველაფერი გაეგო და ნემსის ლაპარაკი კი არა.

— ვერ დაგტოვებ!—ბრაზით თქვა ნაბიამ და ნაბიჯი გადადგა.

— შენ კუთხეში მიმაგდებ, დამაქანებ!

— რათ დაგაქანებ, მეც ვიცი ქარგვა!—იცრუა ნაბიამ და ნემსი ტილოს

ამოუბნია. ბევრი ეწვალა ნაბია, მაგრამ ხან ნემსი შეერკო თათში, ხან ძაფი გაძრუძერა ნემსიდან. მოიმიზეზა, თათი მტკიცეა და იმიტომ ვერ ვქარგავო. ნემსი ტილოზე დაამაგრა და შინისაკენ გაეშურა.

— ძმობილო,— შეაჩერა ნემსმა,— სადაც გინდა, იქ წამიღე, ოღონდ ერთი სურვილი შემისრულე: ტილოს ვავშლი და ამ მშვენიერი ცაცხვის ქვეშ უკანასკნელად კიდევ ამოვქარგავ ჩემს.

ნაბიამ იფიქრა: „მარტო ნემსს კი არა, ნაქარგსაც წაიღებო“, და ნება მისცა მოექარგა. ნემსი მოემზადა და კურდღელს სათბავა: დახუტე თვალები და როდესაც გაახელ, ნაქარგიც მზად იქნებაო.

ნაბიამ თვალები დახუტა.

ნემსმა ქარგა, ქარგა და, როცა ქარგვა დაასრულა, ნაბიას შესძახა:

— თვალები გაახილე!

ნაბიამ თვალები გაახილა, მაგრამ რომ არ გაეხილა, ის ეჩჩია. გადაშლილ ტილოზე ამოქარგული იყო თვალგდამდევრილი და ხახადღრენილი რუხი მგელი. ნაბიას მგელი ჯერ არ ენახა. მხოლოდ ზღაპრად ჰქონდა გავონილი,—მთებს იქით ცხოვრობსო. ნაბია შეშინებული უყურებდა მგელს და ეპყვიც არ ეპარებოდა, რომ ამ წუთში ეცემოდა და გადასასწავდა. აღარც ნემსი ვახსენებია, აღარც ნაქარგი, ერთი ნახტომით გადაველო ეზოს და ტყეს მიაშურა.

ამბობენ, მას შემდეგ კურდღლებს ხელობის შესწავლაზე აღარ უფიქრიათო.



6.146/148

ნახატები შიტო გორდელაძის (5 წლისა).




„ფეხბურთი“



„ფარეკაობა“



„მხედარი“



„ცხენი“ (თიხაში)

ირაკლი რევაზიშვილისა (7 წლისა).



„გემი“

ნახატი მამუკა დოლოძისა (8 წლისა).

უდაბე: „კომბლუ“, ნახატი შ. ცხადაძისა

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. ვრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მაცუკალა მრეველიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულიძე, ნ. უნაყოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) ბანოცაძის ოცდახმათი წალი უსნი შ მის

Л И А — ежемесячный детский журнал ЦК АКСМ Грузии № 8, август 1957 г. Тбилиси, Просп. Пашквича 91. საბავშვო საზოგადოება, თბილისი, პატიშვილის ქუჩა № 91, ტელ. 3-37-38, ვაზაძე, ფეხ. № 259 სტ.მოს. ფეხ. № 1265 ტირაჟი 13000 ფი 01254 ხელმოწერილია დასაბანდად 29/VI 1957 წ. ვერხვი დახვდითა ლითონგებურ სხედის ფარეკაში